ბორჯომი

ბორჯომი

გილოცავთ, სასწავლო წლის დაწყებას!

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

14 სექტემბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№39 (9301)
ფასი 40 თეთრი

თქვენ ქვეყნის მომავალი ხართ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, ძვირფასო პირველკურსელებო!

გულითადად გილოცავთ ყველას, ვინც წარმატებით ჩააბარეთ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ეს უმნიშვნელოვანესი მიღწევა თქვენი შრომის, სწავლისა და მონდომების დამსახურებული შედეგია. ამავე დროს, ეს არის ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი. მჯერა, რომ ცოდნის დაუფლების, პიროვნული განვითარებისა და პროფესიული სრულყოფის პროცესს საკუთარი მომავლისა და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობით წარმართავთ.

განათლებული ახალგაზრდობა - ქვეყნის წინსვლისა და ძლიერების, მისი უკეთესი ხვალინდელი დღის აუცილებელი პირობაა. ამიტომ, განათლება ჩვენი მთავრობისთვის, პირადად ჩემთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი განვითარებაში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებულ, საინტერესო სტუდენტობის გზას, თქვენ მიერ დასახული მიზნების მიღწევას გისურვებთ.

გილოცავთ ახალი ცხოვრების დაწყებას

„ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე ეკატერინე ორჯონიკიძე

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, გილოცავთ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და ახალ, მნიშვნელოვან, საინტერესო და თავგადასავლებით სავსე ეტაპზე გადასვლას.

თქვენ ჩვენი ქვეყნის მომავალი ხართ და მჯერა, თითოეული თქვენგანი უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით და გამოცდილებით შეძლებს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო წარმატებული გახადოს.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ჩემს ძვირფას ბაკურიანელ ახალგაზრდებს და ვუსურვო წარმატება მათ მიერ არჩეულ ცხოვრების გზაზე

კიდევ ერთხელ გილოცავთ სტუდენტობას!

წარმატებულ სტუდენტებს მერია აჯილდოებს



ბორჯომის მუნიციპალიტეტი 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებს დაჯილდოებს.

ფულად ჯილდოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულები მიიღებენ.

დაინტერესებულმა პირებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (სამოქალაქო რეესტრი);
- ცნობა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ;
- საბანკო ანგარიშის ნომერი.

ერის, ოჯახისა და სკოლის სიამაყე!

მტკიცედ არჩეული პროფესია

ცხელი წელი აბიტურიენტებისთვის დასასრულს მიუახლოვდა. ყველა დამშვიდდა, შფოთი და ღელვა ჩაწყნარდა, რადგან უკვე ცნობილია რომელი ახალგაზრდა რომელ უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ეს 17-18 წლის ახალგაზრდებისთვის არ იყო ადვილი საქმე: შეერჩიათ სამომავლოდ პროფესია, ჩამოყალიბებულიყვნენ სწორ არჩევანზე, გაეთვალისწინებინათ მშობლების, პედაგოგების აზრი. ქომაგი კი მრავლად ყავდათ, რადგან საქართველოს მომავალი მათია! წელს ბორჯომელი აბიტურიენტებიდან არაოფიციალურად რაც გავიგეთ, საკმაოდ კარგი, მაღალი ქულებით ჩაბარეს და აქვე ვულოცავთ მათ არჩეულ გზას, ახდენილ ოცნებებს. სტუდენტობა ხომ დაუვიწყარი წლებია, რომელიც შემდგომ სულ გენატრება.

მარიამ კაპანაძე ერთ-ერთი გამორჩეული აბიტურიენტია იმ მრავალთაგან, ვისაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მომავალი სპეციალობა. რადგან ბავშვობის წლებში ვასწავლიდი, ამიტომ თავს უფლება მივეცი დავახასიათო, როგორც სიყრმიდანვე წრფელი, სუფთა, გაწონასწორებული, მორიდებული, ცოტა მღელვარეც, დაფიქრებული, გამჭრიახი გონების ახალგაზრდა. სხვანაირი ვერ იქნებოდა ნამდვილად აკადემიურ ოჯახში აღზრდილი. ყველა საგანს რომ თანაბარი პასუხისმგებლობით სწავლობდა. წლების შემდეგ გამოიკვეთა მასში პროფესიის შტრიხები: ყველაზე უზენაესს - სამართალთან გადაწყვიტა უწყვეტი კავშირი. თავიდან კი მიუთითა სხვადასხვა პროფესია, მაგრამ პირველ რიგში თავისუფალი უნივერსიტეტი და სპეციალობა სამართალი მონიშნა. ასეც მოხდა. შრომა, მისი ზემოწესრიგებულობითა და ძალისხმევით გავიდა კარგ შედეგზე. გავესაუბრა აღნიშნულ წარმატებაზე:

მარიამ კაპანაძე: იურისპრუდენციის შესწავლა დიდი ხანა მსურს, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან. დროთა განმავლობაში ხშირად იცვლება შეხედულებები, თუმცა ჩემ შემთხვევაში პირიქით, ეს პროფესია ოცნებად მექცა. ვფიქრობ, სამართლის სფეროს შესწავლა საუკეთესო საშუალება იქნება საკუთარი შესაძლებლობების გასავითარებლად და წარმოსაჩენად. მზად ვარ დაუღალავად ვიშრომო პროფესიული უნარების შესწავლისთვის, რათა ღირსეული ადგილი დავიმკვიდრო საზოგადოებაში!

● როგორ თვლი, ვისი დამსახურებაა ყველაზე მეტად შენი წარმატება გარდა საკუთარი თავისა? ვის ეტყოდი მადლობას?

რა თქმა უნდა, ჩემთვის სასიხარულო, მოტივაციის მომცემი და საპასუხისმგებლოა აღნიშნულ სასწავლებელში სამართლის ფაკულტეტზე ჩარიცხვა. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე, თუმცა გარკვეულ წილად ოჯახური ტრადიციაც მნიშვნელოვანია. თითოეული წევრისგან ვგრძნობდი უდიდეს მხარდაჭერასა და ხელშეწყობას, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. სწავლის გარკვეული პერიოდი გავატარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმში, ხოლო შემდეგ სწავლა №1 საჯარო სკოლაში გავგრძელე. დიდი მადლობა ორივე სკოლას და თითოეულ პედაგოგს, რომელთაც წვლილი მიუძღვით ჩემს წარმატებაში.

● მარიამ, სტუდენტობის შემდეგი წლები როგორ წარმოგიდგენია, დაუბრუნდები შენს ქალაქს?

- ჩემი ქალაქი ძალიან ძვირფასია ჩემთვის, მშობლიური კერაა. ის სრულყოფილია ულამაზესი ბუნებით და აქ არის ყველანაირი პირობა ახალგაზრდების განვითარებისათვის. ჩემი შემდგომში მიღებული განათლება და გამოცდილება პირველ რიგში მსურს მოვახმარო ჩემს ქალაქსა და რაიონს! ეს უდავოა! ამის დიდი სურვილი უკვე მაქვს.! ამ მხრივ ჩემთვის მისაბაძი პიროვნებაა პაპა **ვახტანგ კაპანაძე,** რომელიც ბორჯომის საპატიო მოქალაქეა. მადლობა მას გაწეული სიკეთეებისთვის!

მონიკა ძანტურია

ჩემი ბორჯომი - ენაცვალები

ჩემი ბორჯომის ლურჯი მთები და,
მწვანედ ნაქარგი მინდორ-ველები,
ერთხელ თუ ნახავ, მოგაჯადოებს
და მერე უკვე, ველარ ელევი.
აქეთ ნაძვნარი, იქით ფიჭვნარი,
კლდეზე კი მოხტის ცელქი ჩანჩქერი,
იქნებ მზეთამზე, იქნებ მზისდარი,
და ყვავილების ქროლავს ნამქერი.
წყალი მკურნალი, წყარო ანკარა,
ამოჩუხჩუხებს მიწის გულიდან,
მზე მომღიმარი, ცხელი თაკარა,
ამოვარდნილა თითქოს ბუდიდან.
ჩემო ბორჯომო - ენაცვალები,
მუდამ ღია გაქვს გულის კარები,
სტუმარ-მასპინძლის ადათს რომ იცავ,
მიტომაცა გყავს სულ მნახველები.
ცას ებჯინება გორობი მთები,
გალავანივით გარს რომ გარტყია,
თორი, ხვეწი და ნადარბაზევი,
ნატყვიარი ხომ დღესაც ატყვიათ.
პატარა ცემი, ტბა და წალვერი
გამშვენებს, როგორც ნესტანს საყურე,
ხოლო პლატოდან ციქნა სადგერი,
მთვარესავით სულ თავს დაგყურებს.
ორი ციხე კი, დღესაც გდარაჯობს,
შენი ერთგული ორი მაყარი,
ხოლო ლიკანი, შენ ისე გამკობს,
როგორც მეომარს რკინის აბჯარი.
- ჩემო ბორჯომო - ენაცვალები,
ვლოცავ შენს მიწას, მთასა და მდელოს,
როგორც რომ შვენის ცას ვარსკვლავები,
ასე ამშვენებ შენც საქართველოს.

ჯემალ ბიბილური

როცა ძმა გლოვობს, ჩვენ რა გვეზეიმება...!

8 სექტემბერს ბორჯომ-ქალაქობის აღნიშვნა საკმაოდ ადრიანად უფასო მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობით დაიწყო. უფასო ტრანსპორტით სარგებლობა მგზავრებს მთელი დღის მანძილზე შეეძლოთ. რაც შეეხება ბორჯომ-ქალაქობისათვის დაგეგმილ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, სივრცე ორ ლოკაციაზე გახლდათ მოწყობილი. პირველი ნაწილი ღონისძიებებისა ახლადრეაბილიტირებულ კოსტავას სახელობის ბაღში გაიმართა, სადაც რამდენიმე საათის მანძილზე მიმდინარეობდა სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთსა და ქართულ ჭიდაობაში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით დღესასწაულზე ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში შესვლა უფასო გახლდათ. აქ თქვენ ნახავდით ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვას, სასურათზე ბანერებსა და ულამაზეს დეკორაციებს. „ბორჯომის მინერალური წყლის“ კუთხეს, რომელსაც მთავარი გზავნილი მონაწილეებამდე ორიგინალურად მიჰქონდა.

აქვე შეგეძლოთ იმიტირებულ არჩევნებში მონაწილეობის სიახლეებს გაცნობოდით, მეტ ინფორმაციას მიიღებდით ფლაერებიდან არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ და სხვა გასართობებს.

სამწუხაროდ, გურიაში განვითარებული მოვლენების გამო, „ბორჯომ-ქალაქობა 2023“-ის ფარგლებში დაგეგმილი საზეიმო კონცერტი გადაიდო და არც საპატიო მოქალაქეები აურჩევიათ..

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

როცა ძმა გლოვობს, ჩვენ რა გვეზეიმება...!

(გაგრძელება)

საზოგადოებასთან ერთად ბორჯომის ცენტრალურ პარკში იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთში რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** სტუმრები მეზობელი მუნიციპალიტეტიდან.

ბორჯომში იმყოფებოდნენ სტუმრები ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ ატირაუდან, რომლებმაც დაათვალიერეს ბორჯომის ღირსშესანიშნაობები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და ყაზახეთის ქალაქ ატირაუს შორის სტუმრებმა და მასპინძლებმა საინვესტიციო, სავაჭრო, ეკონომიკური, კულტსაგანმანათლებლო და ტურიზმის განვითარების მიზნით ხელი მოაწერეს მემორანდუმს.

ბორჯომ-ქალაქობის ზეიმზე გიმართა სპორტული ღონისძიებები. მკლავჭიდში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: **- ამირან სადღობელაშვილი, ნელი უსტიმენკო, სანდრო თევდორაშვილი, ნიკა ენფენჯიანი** აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა დავით გავვამ.

მაგიდის ჩოგბურთში I ადგილი გიორგი ქალიაშვილმა დაისაკუთრა; II ადგილი - გიორგი ცხვიტარიძემ; III ადგილი - ნიკოლოზ გელაშვილს ხვდა წილად.

„ქართულ ჭიდაობაში“ - I ადგილები დაიკავეს ბორჯომელებმა **ნ. მამასტარაშვილმა, თ. მეტრეველმა, ი. მდინარაძემ, ვ. ბალახაძემ.**

ადიგენელმა **ლ. გაფრინდაშვილმა** I ადგილი (60კგ) და აბსოლიტურ წონაში ფალავნობა დაისკუთრა და მას ტრადიციულად ცხვარი და 20 ლიტრი ღვინო გადაეცა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ბაკურიანში სხვადასხვა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის სამუშაოები მიმდინარეობს

სამუშაოები მოიცავს ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქუჩებისა და არსებული შენობების რეაბილიტაციას, გარე განათების მოწყობას და სხვა.

■ ბაკურიანის ცენტრალური დასასვენებელი პარკის საერთო ფართობი 8 ჰექტარია. პარკის ტერიტორია დაიყოფა სხვადასხვა ტიპის - სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ ზონებად. რეკრეაციულ პარკში შეიქმნება ისეთი ახალი სივრცეები, რომელიც ბევრად უფრო კომფორტულს გახდის პარკში, როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ისე დაბის მოსახლეობისა და სტუმრებისთვის შინაარსად დასვენებას.

■ პარკის ინფრასტრუქტურა მორგებული იქნება შშმ პირებისა და ბავშვო ეტლით მოსარგებლე მშობლების საჭიროებებზე.

■ პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე პროექტის სამუშაოები, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ორ ეტაპად განხორციელდა

■ პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ბორჯომის, 9 აპრილის, თავისუფლების, მთის, რუსთაველის, აღმაშენებლის ქუჩებზე უკვე დასრულებილია. პროექტის ფარგლებში განახლდა ქუჩების მიმდებარე სახლების ღობეები, ჭიშკრები და გარე განათების სისტემა. მეორე ეტაპით დაგეგმილი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს 9 აპრილის, ბორჯომის, თავისუფლების და აღმაშენებლის ქუჩებზე.

■ დაბა ბაკურიანში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები კურორტს უფრო მეტად მიმზიდველს და კომფორტულს გახდის ვიზიტორებისა და სტუმრებისთვის წელიწადის ოთხივე სეზონზე.

კვლავ უპატრონო ძაღლების ხეტიადის შესახებ

ბორჯომში სხვა ქალაქების მსგავსად რომ ქუჩაში მოხეტიალე ძაღლები აღარავის გვიკვირს, ალბათ ეს ყველამ ვიცით, თუმცა, ქუჩაში ძაღლების ყოფნასაც გააჩნია, სად და როდის ივლიან ხროვად. ამ ზაფხულს საკმაოდ კარგი სეზონი ძირითად ძლივს პანდემიის შემდგომ იყო და ჩვენ მოსახლეობის შემოსავლის წყაროსაც სწორედ ჩამოსული სტუმრები და სხვადასხვა ქვეყნის ტურისტები შეადგენენ, თუმცა, ყველა ქუჩაში მოხეტიალე ძაღლების მიმართ გამოთქვამდა უკმაყოფილებას. კვების ობიექტებთან და რესტორნებთან ხომ ფაქტიურად, ძაღლების რიგი დგას - იქნებ და ვინმე ღვთისნიერმა ლუკმა გადმოუგდოს და დააპურონ.

8 სექტემბერს ჩვენ ქალაქს დღესასწაული „ბორჯომ-ქალაქობა“ გაიმართა და ადგილობრივებთან ერთად ბევრი ჩამოსული სტუმარიც ეწვია ქალაქს. ჰოდა, ამ დღეს ჩვენი ქუჩაში მოსიარულე ოთხფეხა მეგობრებიც საკმაოდ თამამად დასეირნობდნენ, როგორც კოსტავას ბაღში, ისე ცენტრალური პარკის მიმდებარედ. დღის მანძილზე პარკში მუნიციპალიტეტის პირველი პირებიც იყვნენ, რა თქმა უნდა და ალბათ, მათ გამჭრიახ თვალსაც არ გამოეპარებოდათ იმაზე მეტი ძაღლის ყოფნა დღესასწაულზე, ვიდრე სხვა დღეებში. განსაკუთრებული კულმინაცია კი დაახლოებით საღამოს 6 საათი იქნებოდა, როდესაც „ფირუზას“ შენობის წინ დაახლეობით 15-მდე ძაღლი ყეფით, ღრენითა და ისეთი აგრესიით გამოირჩეოდა, ვერავინ ვერ გაბედა მათთან მიახლოება. მოკლედ, ძაღლებს ცალკე დღესასწაული ჰქონდათ გამართული იმის ფონზე, რომ გურიაში მომხდარი ამბების გამო ყველანაირი გასართობი და მუსიკალური ღონისძიება გააუქმეს. ამით კი ახლა იმის თქმა გვინდა, რომ უბრალოდ მოსახლეობის გულისტკივილია, ის რომ, ხომ გააჩნია გარკვეულ დღეებს და სიტუაციასაც, როდესაც შეუძლიათ შესაბამისად იმოქმედონ და პარკში მყოფ ადგილობრივებსაც და მითუმეტეს უცხო ადამიანებს, ვინც დღესასწაულზე ჩამოვიდა, ძაღლების ასეთ თარეშს ნუ დავანახებდით. ვკითხულობთ, როდესმე გადაწყდება ძაღლების პრობლემა? რამდენჯერ შეიძლება დაიწეროს და ითქვას იმ მანკიერების შესახებ, რასაც უპატრონო ძაღლების უთავბოლო და საშიში ხეტიალი ჰქვია?!

პატივისცემით ბორჯომის უკმაყოფილო მოსახლეობა.

წერილი ჩემს კოლეგებს!

მშვიდობით არა, ნახვამდის...

ბორჯომში 2004 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან სტაბილურად ვიცხოვრე უკვე მეცხრამეტე წელი. აქედან, ცამეტი წელი რედაქციაში ვმუშაობ სხვადასხვა სკოლებში მუშაობის პარალელურად. რედაქტორმა მომაბარა განათლებისა და კულტურის საკითხები, რადგან ეს სფეროები ჩემთან ბევრად ახლოს იყო, ვიდრე სხვა დარგები. სწორედ, აქედან გამომდინარე და ჩემი დიდი ინტერესის გამო სფეროებისადმი, მიწევდა ყოფნა ნებისმიერი ღონისძიების ეპიცენტრში. ასეთი არც თუ ისე ცოტა გახლდათ აღნიშნული წლებიდან მოყოლებული. დღეს, მართლაც გული მწყდება, რომ უნდა მოვაკლდე ბორჯომის კულტურულ ცხოვრებას და მხოლოდ გარედან ვუყურო სასიამოვნო მოვლენებს. ალბათ, არ დარჩენილა ამ პატარა ქალაქის კულტურაში და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანი, ვისთანაც ინტერვიუ არ ჩამეწეროს: რეჟისორი, მსახიობი, სამუსიკო სკოლის მესვეურები, თეატრების, მერიის, კულტურისა და განათლების განყოფილება... არაერთი პედაგოგის ღვაწლი გამოვაჩინეთ. სიგრძელია, ამიტომ მე როგორც ჟურნალისტი, მადლობას ვეტყოდი ყველა ჩემ რესპოდენტს, ვისზეც გამიკეთებია ვრცელი, თუ პატარა წერილი. გამიშუქებია სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი პრობლემები, ერთად გვიძებნია პრობლემის გადაწყვეტის გზები. ამ ყველაფრის შესაძლებლობას მაძლევდა რედაქტორი! კაცი, რომელსაც დღეს საბრძოლი გაუხადეს ლამის, საუკუნოვანი გაზეთის გამოცემა. სიტყვა ამაგდარიც ქართულში იმიტომ გვაქვს, რომ ასეთ ადამიანებს, როგორიც ბატონი **ვალერიანია** გაზეთ „ბორჯომისთვის“, ვუწოდოთ! მადლობა ამ წლებისთვის, ბატონო ვალერიან!

თანამედროვე სივრცე და ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობას, საიდანაც გინდა, იქიდან აგზავნო საინტერესო სტატიები და საერთოდ, გპირდებით, სამარადჟამო თემებზე დროდადრო გამოგიგზავნით წერილებს. აბა, მე თუ არ დავწერე, ისე რა გამაჩერებს?! რედაქციაში განსაკუთრებული ადამიანები მუშაობენო, ვერ ვიტყვი, რადგან უფრო ცხოვრობენ, რადგან ბატონ რედაქტორთან ერთდ მოყვებიან სამ ათეულ წელზე მეტია გაზეთის ყოველდრიურ ცხოვრებას: ქალბატონი **სვეტა ხაჩიძე** - იშვიათი ადამიანი, თბილი, გონიერებით გამორჩეული, ერთნაირად მზრუნველი ყველასთვის, ამ პატარა ქალაქში მცხოვრებლების თითქმის მემატიანე.

რასაც ვწერ, შეიძლება ჩემი მხრიდან სუბიექტურია, რადგან ყველა ადამიანი ინდივიდუალურად გამოხატავს მეორე ადამიანთან ურთიერთობისას მეტ, ან ნაკლებ სითბოს. ეს უკანასკნელი სიტყვები კი ქალბატონ **ნათელა იჩქიტიძისთვისაა,** რომელმაც დიდი სითბო დამახვედრა თავიდანვე და ასე ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, თანამშრომლებზე მეტი, უმცროს მეგობრად დამიგულა. „მონო, მოგვაკლდები ძალიან“ - მწერს ის ხშირად გულდაწყვეტით და მეც არსებულ რეალობას ვერ ვცვლი... მადლობა, რომ იყავი ჩემი დაწერილი საგაზეთო წერილების მკითხველი და მანებივრებდი კომპლიმენტებით.

გაზეთის ფოტოგრაფი ჯერ იმიტომ მიყვარს, რომ ძალიან კეთილი და ზუსტად მამაჩემის ასაკისაა. სულ უნათდება სახე, როცა დამინახავს ბატონ **ნუგზარ ქარელს.** ის ერთგულებით გამოირჩევა და მადლობა, იმ სევდიანი თვალებისთვის, როცა გაიგო, რომ ქალაქიდან მივდივარ.

ბატონ **უშანგი ჯანგირაშვილთან,** როგორც ჩემი დარგის - ფილოლოგიის პროფესიონალთან სულ სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს, რადგან ქართული ლიტერატურის, პერსონაჟების სიყვარული გვაერთიანებდა. მადლობა იმისთვის, რომ ყოველთვის უმცროს კოლეგად მომიხსენიებდა. ჩვენი ერთობლივი პოლემიკა, რომელიც გაზეთის ფურცლებზე გავმართეთ, დარჩება „მამათა და შვილთა“ აზრთა სხვადასხვაობის დასტურად, რომელიც არ გასცდენია მოწიწებისა და აკადემიურობის ფარგლებს!

რედაქციაში მუშაობის სხვადასხვა პერიოდში შემოგვიერთდნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები, რაც აუცილებელია გაზეთის სიცოცხლისათვის. **იზა იანვარაშვილი, ნატო მელიქიძე, რუსო სხირტლაძე** - თქვენ უნდა შეძლოთ და გააგრძელოთ ესტაფეტა, რომელიც გადმოგეცათ. ჩემი ჩათვლით, წერის სიყვარული ყველა თქვენთაგანშია და ამიტომაა, რომ ასე პროდუქტიულები, შრომისმოყვარეები ხართ და ავსებთ გაზეთს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. წარმატებები თქვენ და მადლობა, რომ თანამშრომლობით ყველანაირი გამოცდილება შემძინეთ.

სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან გამეხარდება ცნობა იმის შესახებ, რომ გაზეთი „ბორჯომი“ ისევ გამოდის და ღირსეულად მიუყვება საკუთარ ჭარმაგ ცხოვრებას!

მონიკა ჭანტურია

რა ღირს სასკოლო ნივთები?!

15 სექტემბერს საქართველოში არსებულ ყველა საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი განახლდება. სკოლებში სასწავლო პროცესის დაწყება პირველ ეტაპზე წინა სასკოლო სამზადისს მოიცავს, რაც პირველ რიგში სასკოლო ნივთების შეძენას გულისხმობს. რა უჯდებათ მშობლებს სასკოლო ნივთების შეძენა და რამდენად განსხვავებული ფასებია წინა წელთან შედარებით, ამასთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩავატარეთ:

მარი ბერიძე: - შარშან მხოლოდ საკანცელარიო ნივთებში 150 ლარი გადავიხადე თუ მეტი არა. წელს ალბათ უფრო მეტი დამიჯდება, ჯერ მხოლოდ ჩანთა ორთოპედიული 130 ლარი ჯდება. ხარჯებში სასკოლო წიგნები არ შედის, რადგან უფასოდ ურიგებენ. სამწუხაროდ, მრავალშვილიან მშობლებს უფრო გაუჭირდებათ ყველა ნივთის შეძენა.

თეა ჩაფიძე: - ჯერ მხოლოდ ჩანთა ვიყიდეთ და 130 ლარი გადავიხადე. დანარჩენი ნივთების ყიდვას 16-ში ვაპირებ.

თამუნა ბედენაშვილი: - წელს საკანცელარიო ნივთებზე მხოლოდ 100 ლარამდე დავხარჯეთ. ჩანთა გვაქვს შარშანდელი.

ნატა მელიქიშვილი: - სასკოლოდ მზადება მოვიტევეთ და მხოლოდ საკანცელარიო ნივთების შეძენას არ გულისხმობს. დაწყებით კლასში სწავლობენ ჩემი შვილები და ჯერ მხოლოდ სამი დღე სპორტის გაკვეთილი ჰქონდათ, ცალკე სპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი სჭირდებათ გაკვეთილზე. სპორტულ ფეხსაცმელს სკოლაში ტოვებდნენ და მხოლოდ სპორტის გაკვეთილზე იცვამდნენ. რა თქმა უნდა, მოზარდები არიან და შესაბამისად იზრდებიან კიდეც, ჰოდა, აქედან გამომდინარე, ტანსაცმელიც სჭირდებათ თავისთავად, რაც საკმაოდ ძვირია, საკანცელარიო ნივთებსაც თუ დავამატებთ ამ ყოველივეს, საშუალო შემოსავლის მქონე მშობელს თითო ბავშვის გამზადება სასკოლედ 600-700 ლარი მაინც დაუჯდება.

ციცი მულაძე: - ჯერ სასკოლო ნივთების ნახევრიც კი არ მაქვს ნაყიდი, შარშან ორი ბავშვის ნივთები 100 ლარამდე დამიჯდა. ჩანთების გარეშე, რა თქმა უნდა. შემდეგ თანდათანობით შევამატეთ სკოლაში რომ მივიდნენ. ახლაც წინასწარ ხომ არ ვიცი კიდევ დამატებით რას დაავალებენ და იმის მიხედვით შევიძენთ თანდათანობით. ვვარაუდობ, რომ წელსაც 100 ლარამდე დამიჯდება.

სოფო კობესაშვილი: - მხოლოდ საკანცელარიო ნივთები და ჩანთა ორ ბავშვზე 400 ლარამდე დაჯდა, ხოლო სხვა დანარჩენი კი ჯერ არ მიყიდია.

მარიანა თაბუკაშვილი: - ერთი ბავშვის ჩანთაში და საკანცელარიო ნივთებში სულ 100 ლარი გადავიხადე.

ლიზა შონია: - წელს შედარებით ადრე შევუძინე ნივთები, საკანცალარიოც და სამოსიც, რადგანაც ბოლო კვირაში იმდენად მომატებული ფასებია, რომ ფაქტიურად, ბევრად მეტის გადახდა გვიწევს. აქედან გამომდინარე, თადარიგი დავიჭირე და საბოლოო ჯამში თითო ბავშვს 500 ლარი დაჭირდა.

გამოიკითხა **ნატო მელიქიძემ.**

დახმარებები ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, აგვისტოში 174 464 ლარის დაფინანსება გასცა.

აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 763 ბენეფიციარს გაუწია.

97 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 73551 ლარი გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 69 ბენეფიციარი 7 850 ლარით დაფინანსდა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 29 პაციენტი 14 663 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა ბენეფიციარებმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.

მზის ელექტროპანელები მნჟემსებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანეთში, ე.წ. კოდიანზე, გუჯარეთის ხეობასა და თორში, სადაც მოსახლეობა სეზონურად მესაქონლეობას ეწევა, მზის ელექტროპანელები დამონტაჟდა.

მზის პანელის სიმძლავრე საკმარისია ერთდროულად რამდენიმე საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჩასართავად.

ტერიტორიაზე ჯამში, 12 კუნძულოვანი მზის ელექტროპანელების სისტემა მოენყო, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 139 216 ლარი გამოიყო.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ე.წ. კოდიანს, გუჯარეთის ხეობასა და თორს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

გულწრფელი მადლობა დახმარებისათვის!

გაზეთ „ბორჯომის“ გაზეთის რედაქციასთან დაკავშირებით არაერთი წერილი გამოვაქვეყნეთ, მუნიციპალიტეტში მოქმედ ფირმებს, შ.პ.ს.-ებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს, რიგით მოქალაქეებს მოვუწოდეთ დახმარებისაკენ, საკმაოდ ბევრმა შრომითმა კოლექტივმა და ფირმამ ფინანსური და მორალური მხარდაჭერა აღმოგვიჩინა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

ამჯერად იმ ფირმებს გაგაცნობთ, რომლებიც მხარში დაგვიდგნენ და ღირსეული წვლილი შეიტანეს გაზეთის გადარჩენაში.

აი ისინი:

შ.პ.ს. „ჰოტელ მენეჯმენტ გრუპ“ (დირექტორი ვლადიმერ სტეფანიანი);
შ.პ.ს. „არქტური“ (დირექტორი ლაშა გოგოლაძე);
შ.პ.ს. „ჰუსეინ სიმენ“ (დირექტორი ზაზა სარალიძე);

განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ შ.პ.ს. „მშენებელი - 2012“ (დირექტორი ბატონი ვასბანგ ქაპანაძე), რომელმაც მარტო მიმდინარე წელს უკვე მეოთხედ აღმოგვიჩინა ფინანსური დახმარება.

გულწრფელი მადლობა გვინდა გამოვუცხადოთ ქალაქ ბორჯომში ვაჟა-ფშაველას და ანატოლი მილჩენკოს ქუჩების მცხოვრებლებს, რომლებმაც შეძლებისდაგვარად შეძლეს გაზეთის გადარჩენის ფონდში გადმოერიცხათ თანხა.

დიდი მადლობა ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა რედაქციის მოწოდება და ზრუნავენ საყვარელი გაზეთის გადარჩენისათვის. და ბოლოს, მადლობას საჯაროდ ვუცხადებთ „ბაკურიანის განვითარების ფონდის“ დირექტორს, ქალბატონ ეკატერინე ორჯონიკიძეს რედაქციისადმი გულწრფელი დახმარებისათვის და ჩვენდამი გამოჩენილი თანადგომისათვის.

რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სოფელ სადგერიდან გოგირდის აბანოებამდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ბორჯომის მერიის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, 450 მეტრზე მოეწყობა საფეხმავლო ბილიკი, ბაზალტის ქვის კიბეები და მოაჯირები.

- დამონტაჟდება ნაგვის ურნები, საინფორმაციო ბანერები და უსადენო სანათები. ასევე, მოეწყობა მოსასვენებელი სივრცეები, სადაც განთავსდება მაგიდები და სკამები.

პროექტი სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება და მისი ღირებულება 102 500 ლარს შეადგენს. სამუშაოებს შპს „მაი თაუნი“ ასრულებს, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ბორჯომს ვუმღერით

სამსახურში, შესვენებისას მრავალ თემას შევხებივართ... ერთ დღეს, ბორჯომზე ლაპარაკისას, ვიღაცამ თქვა - ბორჯომზე სიმღერა არაა შექმნილიო. მე გამახსენდა და ახალგაზრდებს ვუთხარი, რომ 50-60-იან წლებში კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც დამსახურებული ლოტბარი ქეთევან ღოღობერიძე ხელმძღვანელობდა ოლიმპიადა სწორედ ბორჯომზე და ბორჯომელ ქალზე სიმღერით გახსნა. მახსოვს მუსიკა ბორჯომელმა ნიჭიერმა ახალფეხადგმულმა კომპოზიტორმა თემურ ჩუბინიშვილმა დაწერა. ტექსტი კი ასეთია:

მისამღერი:

თასი ხარობს მაგ თითების შეხებით
შადრევანთან რომ შეარხევ დალალებს,
მზე პირს იბანს
მკურნალ წყალის შხეფებით
ბროლის ჭიქით გადმოდინარ ალავერდს.

შენ გიგალობს, შენ გიმღერის
ქალო, წყალი ანკარა,
მთელ ქვეყანას წამლად ასმევ,
მაინც ამბობ „არ კმარა"!

და ა.შ

მერე ნიჭიერმა ინჟინერ-მუსიკოსმა გაიოზ დვალიშვილმა თქვა: ტექსტს ვინმე რომ დამიწერდეს - მუსიკას ბორჯომზე მეც შეგქმნიო.

ხუმრობა გაგრძელდა... მე კი იქვე ეს ლექსი შევთავაზე:

ულამაზესო, მწვანეე, მზიანო,
ფუნჯით ნახატის მსგავსო,
შენზე ამბობენ, ვინც კი გიხილა,
რომ ის სამოთხეს ჰგავსო.
ვიწრო ხეობის მთებო, მაღალო,
სურნელით ნაძვის, ფიჭვის,
შემოდგომაზე წითლად და ყვითლად
მწვანესთან ერთად იწვი...
მიყვარს ზამთარი, თოვლი ქათქათა,
ჩვენ შეცდომებს რომ ფუთავს.
მინდა, რომ უფრო ლამაზს გხედავდე -
ჩემი დარდი ხარ მუდამ!
აქ მორუხრუხებს მკურნალი წყალი
ათასი კაცის შველად....

მიდის და ისევ შენ აგონდები
მადლიერია ყველა.
არ გაგცვლით, არა სხვა ადგილზედა,
თუ ხეობელი გვქვია,
წავალთ და მაინც, ჩვენო ქალაქო,
დაგიბრუნდებით ჩქარა...
ჩაგეხუტებით, ჩაგიფიქრდებით,
რამ შეგქმნა ასე კარგი?
ჩვენი ბავშვობის ტკბილო ალაგო,
გიგალობს შენი ხალხი!

მარიკა ბელაშვილი,
არქიტექტორი, ბორჯომის გულშემატკივარი, პატრიოტი და ჭირისუფალი.

გაიოზ დვალიშვილმა ხელი მოაწერა,
რომ ამ ტექსტზე მუსიკას შექმნიდა.
ველოდებით, გაიოზ, პირობის აღსრულებას!

მადლიერება და სამადლობელი

ამ წლის თებერვალში ბორჯომის №6 საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ბორჯომის რაიონის სოფელ ბეშეთში დაბადებულ და უდროოდ გარდაცვლილი პოეტის **ვასილ ლომიძის** ხსოვნას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი ქალბატონი **ქეთევან ხაჩიძე,** პედაგოგები **ანასტასია ხაჩიძე და ლელა მუხურაძე,** რომლებმაც დიდი მონდომებით და გულისხმიერებით გააცოცხლეს პოეტის მივიწყებული ბიოგრაფია, გაიხსენეს მისი შემოქმედება. მოსწავლეებმა წაიკითხეს პოეტის რამდენიმე ლექსი, ჰქონდათ შესანიშნავი მუსიკალური გამოსვლები, ღირსეულად იყვნენ მომზადებული და, ცხადია, წარსულისადმი პატივისცემასა და სიყვარულს ითავისებდნენ. ეს პედაგოგების დიდი დამსახურებაა, რაც აღსაზრდელებში ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს სამომავლოდ.

მინდა მადლიერება გამოვხატო და მადლობა გადავუხადო ქალბატონებს **ანასტასია ხაჩიძეს** და **ლელა მუხურაძეს,** რომლებმაც გაზეთ „ბორჯომში“ ფართოდ გააშუქეს არსებული ღონისძიებების მასალები.

ქალბატონმა ანასტასია ხაჩიძემ დაუღალავი შრომით ახალგაზრდა პოეტის მასალები შეიტანა სამაგიდო წიგნში სახელწოდებით „მივიწყებული სახელები“. წარმატებას ვუსურვებ მათ იმ კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელსაც ასე გულწრფელად ემსახურებიან, პედაგოგობა ხომ ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა.

მადლობა ჩემი ძმიშვილის მეუღლეს **შორენა ნოქარაშვილს,** რომელიც მუდმივ კონტაქტში იყო ჩემთან და პედაგოგებთან მასალების შეგროვებამოძიების საქმიანობაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტის ახლობლები, სამადლობელი სიტყვით გამოვიდნენ პოეტის ძმიშვილები თამაზ და სერგო ლომიძეები.

პატივისცემით ლია ნათელა ლომიძე

სიხარულის ცრემლი მდის

დღეს სიამაყით ვარ სავსე, რადგან დავფიქსირე, რომ გაჭირვებისას ადამიანებს თანადგომის და თანაგრძნობის უნარი კიდევ შემოგვრჩენია.

თქვენთვის ცნობილია, რომ რაიონული გაზეთი „ბორჯომი“ დახურვის პირასაა. რედაქცია საკუთრი შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფს გაზეთის გამოცემას, ამიტომ გადავწყვიტე კარდაკარ შემომევლო ვაჟა-ფშაველასა და ანატოლი მილჩენკოს ქუჩები.

სიხარულით შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერი, ვინც სახლში დამხვდა ან გზაში შემხვდა, უყოყმანოდ მაძლევდა გაზეთ „ბორჯომი“-ს დასახმარებელ იმდენ თანხას, რამდენის საშუალებაც ჰქონდა. ერთს ჯიბეში მხოლოდ 0.20 თეთრი რომ ჰქონდა, ის უკანასკნელი გაიღო, სხვამ კი 25 ლარი მომცა.

უზომოდ ბედნიერი ვარ უბნის მეზობლების, იმ ერთსულოვნებისათვის, რომელიც მათ გამოხატეს გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენისათვის. ამით ხომ ჩვენ გადავარჩენთ ჩვენი ქალაქის სულს, იმ ქალაქის?, სადაც ვცხოვრობთ. ამ გადარჩენის საფუძველი ხომ სიყვარულია. ჩვენ ხომ გვიყვარს ჩვენი გაზეთი „ბორჯომი“, მას გადარჩენა და განახლება სჭირდება. და ვინ უნდა განაახლოს გაზეთი თუ არა ჩვენ?

გაზეთი „ბორჯომი“ ხომ იმედის გაზეთია. კაცი კი იმედით ცოცხლობს.

ადამიანმა ხომ ერთადერთი ბილიკით უნდა იაროს ცხოვრებაში. და ეს ხომ სიკეთის ბილიკია. როგორც ჩვენმა მგოსანმა ბრძანა **„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“!**

გაზეთის გადარჩენის ბედი ჩვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული. ბედი კი ცდაა. ჩვენ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ გაზეთის გადარჩენაში.

ბორჯომელებო, ჩემი ერთადერთი უსაყვარლესი ქალაქის მაცხოვრებლებო, დამსვენებლებო, მოაგარაკეები, გავკადნიერდები და მოგმართავთ თხოვნით, მიბაძეთ ჩვენი უბნის მცხოვრებთა მაგალითს, გაიღეთ იმდენი, რისი საშუალებაც გაქვთ, რათა გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“.

თქვენი მოყვარული და მუდამ პატივისმცემელი ოთარ მანჯელიშვილი.

ღია წერილი „ბრჯომი-news“ რედაქტორს

ისე, მე მოვზაჯნილი მგონიხარ მაინც, ჩემო „მაიკო“

ალბათ არ გეყო საასპარეზოდ ჩანს ქუთაისი,
რომ დაგებეჭდა შენი გაზეთი, „ვთქვათ - „ქუთათური“.
ვერ გამიგია, ცხვირზე მური რატომ წაისვი
და აქ დაბეჭდე რალაც გაზეთი, თან უსახური.
ჯობდა გეყიდა „ალ-ჯაზირა“ ან „გარდიანი“
და გაგეფურჩქნა იქ შენი ნიჭი ჟურნალისტისა,
აბა, რას გარგებს შენ ეგ გაზეთი ორგვერდიანი,
თუ ვერ დაიტევს ცხელ-ცხელ ამბებს ამა ქვეყნისას.
რად დაუმატე ქართულ „ბორჯომს“ უცხო „ნიუსი“,
ქართული ენა იქნებ კარგად არ „გეკერკება“,
მე მგონი ჯობდა, რომ დაგერქმია „კოვიდ-ვირუსი“,
ეს სახელი კი ნამდვილად შეგეფერება.
რომ შეუვარდი ვირუსივით ამ ტკბილ კოლექტივს
და რომ მოხვდი მის თანამშრომლებს გულში ლახვრადა,
ნათქვანი არის, ვინც სხვის დათესილ ყანას მოიმკის,
რომ შეერგება მის პურის ლუკმა ყველას შხამადა.
რა ეთიკაა, სხვას გამოსტაცო პირიდან ლუკმა,
ეს არ შეშვენის უფრო მეტად ჟურნალისტს კარგო,
თუ გსურს მიირთვა გინდაც ატამი ან გინდაც ხურმა,
ჯერ შენი ხელით ქორფა ნერგები შენ უნდა დარგო.
რა, შეგეხარბა, ვერ გავიგე ან ამ გაზეთის,
რომ მოინდომე ვერაგულად მისი დაშხობა,
ძალით რად ხუჭავ, ვერ გავიგე თვალებს გახელილს,
როდის მოქონდა ანდაც სიკეთე, ბოღმას და მტრობას,
მართალ სიტყვას რომ ემსახურო, ცოტა ძნელია,
ფერადი ფოტოს დაბეჭდვა კი ადვილი არის.
როცა იქ მიხვალ, სადაც იცი რომ არ გელიან,
შენც უნდა მიხვდე, რომ იქ ადგილი არა გქონია.
როგორც იტყოდა, „თუთაშხიაში“ - ბრძენი ქილია
- მე, მოგზავნილი მგონიხარ მაინც, ჩემო „მაიკო“,
ზოგიერთისთვის ხომ გაზეთი „მყრალი“ პირია,
ის თქვას ყოველთვის, რაც სათქმელი პირით ძნელია.

P.S. ამ პატარა, ეკლიანი ლექსით, მინდა, მივმართო ბორჯომში ახლადგამოჩეკილი გაზეთ „ბორჯომ-ნიუსის“ დამფუძნებელს, მთავარ რედაქტორს და მეპატრონეს (სახელი და გვარი ნამდვილად არ ვიცი, „მაპატიოს“), ამიტომ პირობითად „მაიკოს“ სახელით მოვიხსენიებ. არაა მთლად თქვენი საქციელი მოსაწონი და არ შეეფერება დიდი ამბიციების მქონე ჟურნალისტს. ეტყობა, პატივს არ სცემთ არც ჟურნალისტურ და არც ადამიანურ ეთიკას, პატივს არ სცემთ, კინაღამ, 100 წელს მიტანებული გაზეთის შესანიშნავ კოლექტივს და არც მრავალათასიან მის ერთგულ მკითხველს, ვერ ვხვდები, რას დახარბდით ან რა შეგშურდათ ამ კოლექტივის, რომელიც კაბიკებით ანაზღაურების მიუხედავად სიყვარულით და ერთგულებით შრომობენ და თავიანთი გამართული, საინტერესო წერილებით ყოველ ხუთშაბათს გამოსცემენ ბორჯომელებისათვის საყვარელ გაზეთ „ბორჯომს“. ალბათ, არ იცით, რომ ეს გაზეთი 1931 წლის 20 ივლისიდან გამოდის და ამ ხნის განმავლობაში რამდენ უბედურებას, ომებს და ქარიშხლებს გაუძლო, რამდენი ბრწყინვალე რედაქტორი და თანამშრომელი ყავდა და ყავს დღესაც. ასეთი ჟურნალისტები და კორესპონდენტები თვით დიდ რესპუბლიკურ გაზეთებსაც კი არ ყავთ. მინდა იცოდეთ, რომ თქვენნაირი გაზეთი, ათი კიდევ რომ დაიბეჭდოს ბორჯომში, მაინც ვერაფერს ვერ დააკლებს ჩვენ საყვარელ გაზეთ „ბორჯომს“. და მანამ იარსებებს, სანამ მინერალური წყალი „ბორჯომი“ არ დაშრება და ამ წყალივით სუფთა, გემრიელი და სახელოვანი იქნება... ისე კი, მე მაინც მოგზავნილი მგონიხართ - ქალბატონო „მაიკო“.

ჯ.ბი-ბი.

ვულოცავთ!

ერის სასიქადულო შვილს, ქართული მიწაწყლის ერთგულ გუშაგს და გულშემატკივარს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის“ წევრს, 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 14 წიგნისა და სახელმძღვანელოების ავტორს, ჩვენი ხეობის ერთგულ მეოხს, ღირსების ორდენის კავალერს, პროფესორს, ბატონ

ანზორ მესხიშვილს

ვულოცავთ დაბადების 84 წლისთავს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ტკბილ მოხუცებულობის წლებს საყვარელ ოჯახის წევრებთან და მრავალრიცხოვან მეგობრებთან ერთად.

მეგობრები.

ჩვენს ერთგულ და უღალატო მეგობარს, ბორჯომის სახელოვან პიროვნებას, დამცველს და მოსიყვარულეს

ნუგზარ ბაბაბაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერ და წარმატებულ წლებს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად.

ბორჯომის „ფანტანის“ ბიჭები.

ბორჯომელი სპორტსმენი ევროპის ჩემპიონია

საქართველოს ძიუდოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონია. გუნდში მონაწილეობას იღებდა ბორჯომელი სპორტსმენი **ნინო პაპიძეც.** ვულოცავთ ბორჯომსა და მთლიანად სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ამ დიდ წარმატებას. პირველად ისტორიაში ქალი ევროპის ჩემპიონი სამცხე-ჯავახეთიდანაა. აღსანიშნავია, რომ ნინომ ვარჯიში ბორჯომში გარდაცვლილ თემურ კეკლიშვილთან დაიწყო. იგი არის საქართველოს ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელი, კადეტთა ევროპის ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელი და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველი ადგილის მფლობელი გუნდურ ასპარეზობაში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით წარმოება-დაწესებულებებს შორის მინი ფეხბურთში ტურნირი გაიმართება.

I ადგილზე გასულ გუნდს 900 ლარი, II ადგილზე გასულ გუნდს 600 ლარი, სოლო III ადგილზე გასულ გუნდს 300 ლარი გადაეცემა.

განცხადებები მიიღება 14 სექტემბრამდე.

ინფორმაციისათვის დარეკეთ ნომერზე: 591959541 ან მობრძანდით მისამართზე: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მესხეთის ქ. №5.

„იმპლანტ სტუდიო“ მრავალ სიახლეს გთავაზობთ!

ექიმები ინდივიდუალურად იზრუნებენ თქვენთვის!

სიახლეები, რომლებსაც „იმპლანტ სტუდიო“ საზოგადოებას თავაზობს ბორჯომსა და უკვე ბაკურიანში განსაკუთრებული საჩუქარია მოქალაქეებისათვის.

ბორჯომისა და ბაკურიანის მოსახლეობას, ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან 70%-იანი დაფინანსებით სარგებლობა შეუძლია 3 კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე (KT), სოლო 100%-იან დაფინანსებით ისარგებლებენ შშმ და მაღალი ქულების მქონე სოციალურად დაუცველი პირები.

აღსანიშნავია, რომ 2 და 3 კვლევები უსაფრთხოა, როგორც ბავშვთა ისე ორსულთათვის, ასევე აღაპტირებულია შშმ პირებისთვის.

მრავალწლიანი გამოცდილების პროფესიონალი იმპლანტოლოგი, კლინიკის ხელმძღვანელი, ვლადიმერ ბაჯიაშვილი სამსახურის პარალელურად დროს კონფერენციებსაც უთმობს. იგი საქართველოს სტომატოლოგთა საზოგადოების XIV საერთაშორისო კონფერენციაზე გახლდათ მიწვეული, როგორც სპიკერი.

გუსურს, ჩვენს მკითხველსაც გავუზიაროთ „იმპლანტ სტუდიოს“ მრავალფეროვანი შემოთავაზებები.

კლინიკაში გემსახურებათ პროფესიონალი კადრებისაგან დაკომპლექტებული გუნდი და წარმოგვიდგენენ სასარგებლო და სასურველ რეკომენდაციებს რჩევების სახით.

● მგრძნობიარე კბილები ზაფხულობით იჩენს თავს, მაშინ, როცა ცივ სასმელებს შევექცევით. მგრძნობელობის შესამცირებლად კი გამოიყენე საშუალო სირბილის ჯაგრისი. მოერიდე მჟავე საკვებს, გაზიან სასმელსა და შაქრიან პროდუქტებს.

● ამოღებული კბილის იმპლანტით ჩანაცვლება აუცილებელია სახის ძვლოვანი სტრუქტურის, ფორმისა და ჯანმრთელი ღიმილის შესანარჩუნებლად, რადგან სიცარიელის არსებობა იწვევს კბილების მიგრაციას სივრცისკენ, რაც საბოლოოდ, იწვევს სახის დეფორმაციას.

● კბილების პროფესიული წმენდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია პირის ღრუს დაავადებების პროფილაქტიკაში. პროფესიული ჰიგიენის პროცედურა შეუნარჩუნებს კბილებს ბუნებრივ სითეთრესა და სილამაზეს, გააქრობს უსიამოვნო სუნსა და სისხლდენას ღრძილებიდან.

ადამიანზე პირველ შთაბეჭდილებას სწორედ ღიმილი ახდენს, ამიტომ მნიშვნელოვანია, სუფთა და ლამაზი კბილები. გაუფრთხილდით პირის ღრუს სიჯანსაღეს.

● იცით, რომელი პროდუქტებია სასარგებლო კბილების ჯანმრთელობისთვის. თუ ყველის მოყვარული ხარ, სასიხარულო ამბავი გვაქვს - ყველი აძლიერებს მინანქარს, მისი ხშირი მირთმევისას კარიესის გაჩენის შანსი ნაკლებია. ყველის მსგავსად იოგურტები შეიცავს კალციუმსა და ცილებს, რაც მტკიცე და ჯანმრთელი კბილების ფორმირებისათვის იდეალურია. ხრაშუნა ვაშლი და სტაფილო კბილის ჯაგრისის ფუნქციას ასრულებენ. ღეჭვისას გამოიყოფა დიდი რაოდენობით ნერწყვი, რაც კბილებიდან საკვების ნარჩენებს გამორეცხავს. მათი მიღებისას სტიმულირდება ღრძილებიც. ნიახური შეიცავს ღრძილებისათვის საჭირო და C ვიტამინებს, ამასთან ხანგრძლივი ღეჭვისას წმენდს კბილებს საკვების ნარჩენებისგან.

და ბოლოს, ფოსფორის შემცველი მჭლე ცილები, მაგალითად თევზეული ხელს უწყობს მინანქრის გაძლიერებას და თავიდან აგაცილებს კარიესს.

● თუ ბოლო პროფესიული წმენდიდან 4-6 თვე გავიდა, მაშინ ჰიგიენისტთან ვიზიტის დროა.

კბილების პროფესიული წმენდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია პირის ღრუს დაავადებების პროფილაქტიკაში. პროფესიული ჰიგიენის პროცედურა შეუნარჩუნებს კბილებს ბუნებრივ სითეთრესა და სილამაზეს, გააქრობს უსიამოვნო სუნსა და სისხლდენას ღრძილებიდან.

გაუფრთხილდით პირის ღრუს სიჯანსაღეს, იმპლანტ სტუდიოში მკურნალი ექიმები ინდივიდუალურად იზრუნებენ თქვენზე. პროფესიონალური წმენდა კლინიკაში პიეზო სკალერით ხორციელდება.

● თუ ესთეტიკური დისკომფორტი თავდაჯერებული ღიმილის საშუალებას არ გაძლევთ, ცირკონო-კერამიკის გვირგვინები თქვენი პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზაა.

● ცირკონო-კერამიკის გვირგვინები იმეორებს კბილის ნატურალური ქსოვილების სტრუქტურას, ფერს და გამჭვირვალობას, რითაც უზრუნველყოფს როგორც ფუნქციური პრობლემების გადაჭრას, ასევე მაქსიმალურად ბუნებრივ ეფექტს.

მოიწყეთ ვიზიტი იმპლანტ სტუდიოში და დაემშვიდობეთ:

- **არათანაბარ და არასტანდარტულ ფორმის კბილებს;**
- **გაცვეთილ კბილებს;**
- **ფერშეცვლილ კბილებს;**
- **ბზარებს კბილებზე;**
- **კბილთაშორის დაცილებებს;**

აღსანიშნავი ფაქტია, რომ გასულ კვირას პაციენტი ისრაელიდან ჩამოვიდა იმისათვის, რომ იმპლანტაცია „იმპლანტ სტუდიოში“ შესრულებულიყო.

იმპლანტაციის ოპერაციას წარუძღვა ექიმი **ვლადიმერ ბაჯიაშვილი.** შესრულდა ხუთი იმპლანტის ჩანერგვა ქვედა ყბაზე, ყბის ძვლის კორექციითა და აუტოძვლის გადანერგვით.

რაც შეეხება ოპერაციას, იგი პაციენტისათვის სრულიად უმტკივნეულოა, კეთდება როგორც ადგილობრივი, ისე ზოგადი ანესთეზიით.

სტომატოლოგიურ კლინიკაში შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი სახის დახმარება:

● **ძველი ბჟენების გამოცვლა ან ახლის ჩასმა;**

● **კბილების გაწმენდა/გაპრიალება რბილი და მაგარი ნადებისგან;**

● **დანაკლისი კბილების ჩასმა - გადაკვრა, ხიდის ჩასმა, იმპლანტაცია, მოსახსნელი პროთეზი;**

● **კბილების გათეთრება უსაფრთხოდ;**

● **კბილების გასწორება ბრეკეტებით.**

კლინიკაში არის დენტალური ტომოგრამა, რომლის მეშვეობით მთლიანი ყბა-სახის მიდამოს გამოკვლევა ხდება. ამ სახის კვლევა აუცილებლად ჭირდება მას, ვისაც კბილების გასწორება ან იმპლანტაციის გაკეთება აქვს გადაწყვეტილი.

სწორედ კლინიკა „იმპლანტ-სტუდიო“ გთავაზობთ პირველად, ციფრულ კონსულტაციას, უშეცდომო დიაგნოსტიკას, 3 კომპიუტერული ტომოგრაფიის (KT)-ს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით.

ერთ გადაღებაში, სრულად შესაძლებელია პაციენტს გადავუღოთ, როგორც ზედა ისე ქვედა ყბა, მარჯვენა და მარცხენა სახსრები და ჰაიმორის ღრუ.

ჩასაწერად, დაუკავშირდით
ნომერზე: 591 09 17 71, ან ეწვიეთ
მისამართზე: ბორჯომი, მესხეთის ქ. №4,
ბაკურიანი, 9 აპრილის ქ. №10

გული მოიბრუნე უ ფ ა ღ ო

ეშმაკს ფრთები გამოსხმია,
მისცემია გულია,
რაჯა მეწყერს გაატანა,
მისდგომია გურიას.
კახეთს სეტყვა არ აკმარა,
ქართლიც მოატიალა,
საჭე ხელში ჩაუგდია,
მისკენ მოატრიალა.
გული გასკდა მწუხარებით,
მახდ უფალო რას შვრები?
თვალებიდან არ მცილდება
დაღუპული ბავშვები. . .
სული ჰკივის,გევედრები
მოიბრუნე გულია,
ისევ ფალკოტად აქციე,
ის რაც დაკარგულია.
ეშმა იბრძვის,საკირითოდ
კვლავ კარს უნდა გვიაროს?
ნუთუ მთელი საქართველო
უნდა შემოიაროს?
მაშ უფალო გადმოგვხედე,
დაიცავი ქვეყანა,
ბოროტს გზა გადაუკეტე,
არ მიუშვა ყველგანა.
ხალხს სიყვარული ასწავლე,
ერთად დგომა მხარშია,
მხოლოდ სიმდიდრის
მოხვეჭით,
რომ იბრძვიან გვარშია.
იმდენსაც ვეღარ ხვდებიან,
ცეცხლს ათობენ ქარშია,
ოქრო,ვერცხლი,დოლარები,
ჩაეყრებათ წყალშია.
მხოლოდ სანელი შერჩებათ,
რაც დასთესეს ხალხშია,
აღზევება და დაცემა,
უცბად ხდება წამშია.
ხალხს გონება გაუნათე,
რომ ერთმანეთს გაუგონ,
შენი ნაშრომ ნაწვალები,
ეშმაკს რომ არ დაუთმონ.
სიყვარულით შექმნილ ედემს
მეწყერს ნულარ გაატან,
ბავშვებს, სიცოცხლე აცალე,
სიკვდილს ნულარ გაატან.
ღმერთო, მხოლოდ
შენი მკერა,
იქნებ გული მოილბო,
ქვეყანა გადაარჩინო,
მოწყალება მოიღო.

იზო სარჯისიანი.
10.09.23 წ.

მიწვევთ კულტურის სახლი

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემდეგ ჯგუფებსა და წრეებზე:

- **ქართული ხალხური ცეკვები;**
- **თანამედროვე და სპორტული ცეკვები;**
- **ვოკალური (საესტრადო) სტუდია;**
- **გიტარის წრე;**
- **ხატვის წრე.**

ასევე, განცხადებები მიიღება ბორჯომის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, წაღვერის საქალაქო კულტურის სახლში და ბორჯომის სასოფლო კლუბებში სხვადასხვა წრეებსა და სტუდიებში.

რეგისტრაციისთვის საჭიროა:

- **განცხადება დირექტორის სახელზე (ადგილზე იწერება);**
- **მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;**
- **ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;**
- **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

555 754 415, 599 259 192. 598 406 200.

ადმინისტრაცია

ძმა ომარი (პირტილო) რძალი მანანა, ძმისშვილები მადონა და მაია კიკაძეები, სიძეები მალხაზ მშვილდაძე, ტონი გრიგორიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული კიკაძე-ლურსმანაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სვეტა, ქეთინო, მაია, დათო ხაჩიძეები, ლექსო სკანაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ომარ კიკაძის დის და ნონა ლურსმანაშვილს დედის

ნანული კიკაძე-ლურსმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ნიკა, გელა, გიო გელაშვილები, რ. ვარდიძე, თ. ნიკოლაიშვილი, გოგი, ბესო ბეთიაშვილები, დ. ბლიაძე, მ. ტალახაძე, ა. ხრიკაძე, ნ. კურტანიძე, ჯ. გუგუბერიძე, თ. ჩადუნელი, ვ. მჭედლიძე, ხ. მიქელაძე, რ. არუთინოვი, ხ. გოგოლაძე თანაგრძნობას უცხადებენ ომარ კიკაძეს დის

ნანული კიკაძე-ლურსმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები მზევინარ დუმბაძე, ზაურ შერგელაშვილი, ცისანა შარიქაძე, ნოდარ ნოზაძე, ცაცა იველაშვილი, თინა ყურმაშვილი, დონატო კობახიძე, ირა ღამბარიანცი, ლამარა კალანდაძე, პელაგია ჩუტკერაშვილი ღრმა მწუხარებას უცხადებენ შვილებს მზია და გიორგი როგავებს დედის

ლეილა მაქაძე-როგავას

გარდაცვალების გამო.

თემური და ლერი გელაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

ცეზარი შველიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.** borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომაძე**